№ 1-01-009

22/05/2025

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბაღდათი

შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „Front-end დეველოპმენტი“ - მოდულების განსახორციელებლად პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პერსონალის მართვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 9 ნოემბრის №006 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პერსონალის მართვის მექანიზმების“ მე-4 მუხლის, მე-6 მუხლის 6.1 და 6.2 პუნქტების, 6.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 6.4-6.6 პუნქტების, აკადემიის დამფუძნებელ პარტნიორთა საერთო კრების 2023 წლის 19 ოქტომბრის №1 ოქმისა და ამავე ოქმით დამტკიცებული აკადემიის წესდების პირველი მუხლის მე-13 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევის მიზნით, აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „Front-end დეველოპმენტი“ - შემდეგი მოდულების განსახორციელებლად:
ა) უცხო ენა - ინგლისური (დისტანციური სწავლება);
ბ) მეწარმეობა (ცალკეული კომპონენტების დისტანციურად სწავლება);
გ) პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები (ცალკეული კომპონენტების დისტანციურად სწავლება);
დ) ვებ გვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება (დისტანციური სწავლება) ;
ე) ვებ გვერდის სტილიზაცია Sass/scss პრე პროცესორის და Tailwind ფრეიმვორკის გამოყენებით (დისტანციური სწავლება);
ვ) ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა JavaScript-ის საშუალებით (დისტანციური სწავლება) ;
ზ) დინამიური ვებგვერდის შექმნა typescript-ის საშუალებით (დისტანციური სწავლება);
თ) ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით (დისტანციური სწავლება);
ი) ვებ გვერდის ოპტიმიზაცია (დისტანციური სწავლება);
კ) ვერსიების კონტროლი Git ტექნოლოგიის გამოყენებით (დისტანციური სწავლება);
ლ) დარგობრივი ინგლისური ენა Front-end დეველოპმენტისთვის (დისტანციური სწავლება);
მ) ხელოვნური ინტელექტის გამოყენება (დისტანციური სწავლება).
2. კონკურსი გამოცხადდეს აკადემიის ოფიციალური ვებგვერდისა - www.weaedu.ge და კონკურსის გამოცხადებისათვის რელევანტური ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით.

კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 22 მაისიდან 2025 წლის 6 ივნისის ჩათვლით.
3. სამუშაოს ტიპი - საკონტაქტო საათების შესაბამისად.
4. სამუშაო ადგილი - ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №24.
5. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება შერჩეულ კანდიდატებთან ინდივიდუალური გასაუბრების საფუძველზე.
6. შერჩეულ კანდიდატებთან შრომითი ურთიერთობა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ერთიდან ექვს თვემდე გამოსაცდელ ვადას.
7. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატებისათვის წარდგენილი მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
8. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია (რეზიუმე - CV) წარმოდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ელექტრონულ მისამართზე - khatia.aprasidze@weaedu.ge, დანიშნულებაში შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის მითითებით.
9. ამ ბრძანების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის ან/და დანიშნულებაში შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის მიუთითებლობის შემთხვევაში, განაცხადები არ იქნას განხილული.
10. კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - არაუგვიანეს 2025 წლის 6 ივნისისა;
ბ) შერჩეულ კანდიდატებთან საკონკურსო კომისიის გასაუბრება (შესაძლებელია დინსტანციურად, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით) - 2025 წლის 9 ივნისიდან 2025 წლის 11 ივნისის ჩათვლით;
გ) კონკურსის საბოლოო შედეგების გამოვლენა - არაუგვიანეს 2025 წლის 16 ივნისისა.
11. დაკავშირება განხორციელდეს მხოლოდ კონკურსის თითოეულ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატებთან.
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ბაღდათის რაიონულ (მაგისტრატ) სასამართლოში (მის.: ქ. ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ.№7) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

მსოფლიო განათლების აკადემია
დირექტორი
რომანოვა მარია